

**სსიპ კოლეჯის „თეთნული“  
სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. სსიპ კოლეჯის (შემდგომში - დაწესებულება) სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები (შემდგომში - მექანიზმები) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციებისა და დაწესებულების წესდების საფუძველზე.
2. წინამდებარე მექანიზმების მიზანია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ერთიანი მექანიზმის შემუშავება, რომელიც მოიცავს როგორც საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ღონისძიებებს, ასევე პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესის ხელშეწყობასა და სტუდენტური ინიციატივების აქტიურ მხარდაჭერას სამართლიანობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების საფუძველზე.

**მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირება**

დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას ყველა, განსაკუთრებით კი სწავლების საწყის ეტაპზე და ასევე ნებისმიერ ეტაპზე, როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება.

ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევენ დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, კერძოდ, მიღებულ პროფესიულ სტუდენტთა ყველა ნაკადის პირველივე სასწავლო დღეს ისინი გეგმავენ და უზრუნველყოფენ მათთან გაცნობით შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობენ კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. შეხვედრას ხსნის კოლეჯის დირექტორი, რომელიც ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ. დაწესებულების სერვისების, მათ შორის საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის საცხოვრებელი პირობების არსებობის, ზოგადად არსებული შესაძლებლობების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქვევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების შესახებ ინფორმაციას აცნობენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

**მუხლი 3. მხარდაჭერის ღონისძიებები**

1. პროფესიული სტუდენტი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის განსახორციელებლად დაწესებულება იყენებს შემდეგ მექანიზმებს:
2. პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისზრისით. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს.
3. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი პერიოდულად, ორგანიზებას უწევენ პროფესიულ სტუდენტებთან ჯგუფურ შეხვედრებს, რომელთა ფარგლებშიც იკვეთება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები და აღნიშნულის მიხედვით იგეგმება სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობათა განხორციელება.

4. პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების საინიციატივო ჯგუფის მიერ მომართვის შემთხვევაში, მომართვიდან ორი დღის განმავლობაში სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი გეგმავენ შეხვედრას აღნიშნულ პროფესიულ სტუდენტთან/სტუდენტების საინიციატივო ჯგუფთან, რომლის ფარგლებშიც განიხილავენ მის/მათ საჭიროებებს, უწევენ კონსულტაციებს და შესაბამისად რეაგირებენ.
5. პროფესიული სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, სააპელაციო საჩივრის განხილვა და სხვა.) ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მომართვიდან გონივრულ ვადაში, ხოლო ცნობის გაცემა - მომართვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი**

1. დაწესებულებაში მოქმედებს არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელთა მიზანია საკვანძო კომპეტენციების ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, ალტერნატიული გზებით გამომუშავება და სამოქალაქო თვითშეგნების/განათლების განვითარების ხელშეწყობა.
2. პროფესიული სტუდენტების არაფორმალური აქტივობებისა და ინიციატივების წახალისება მნიშვნელოვანია მათი პიროვნული და პროფესიული ზრდისთვის. ეს მექანიზმები ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკული უნარების განვითარებაში, ლიდერობის გაძლიერებაში და ინოვაციური იდეების რეალიზაციაში.
3. სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი პროფესიული სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია მათი აქტიური ჩართულობის, ინოვაციების განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობისთვის. ეს მექანიზმი მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა ტექნიკურ აღჭურვილობასა და სამუშაო სივრცეებზე.
- ინოვაციური იდეების განვითარების, გუნდური მუშაობისა და პროტოტიპების შესაქმნელად.
- გამოცდილ პროფესიონალებთან და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა.
- კარიერული განვითარებისთვის საჭირო უნარებისა და ცოდნის გაუმჯობესება.
- პროფესიულ გარემოში პრაქტიკული უნარების გამომუშავება.
- სტუდენტებისთვის შესაძლებლობების შექმნა ინოვაციური იდეების განვითარებისთვის.
- რეალური გამოწვევების გადაჭრა პრაქტიკული პროექტებით.
- ინოვაციების, კულტურული და საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობა.
- ინოვაციური იდეების გაზიარებისა და განვითარების შესაძლებლობა.
- სტუდენტების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა.

4. ამ მექანიზმების ერთობლიობა ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების ინიციატივების გაძლიერებას და მათ წარმატებულ კარიერულ განვითარებას.

5. კოლეჯში უპირატესობა მიენიჭება ისეთ ინიციატივებს. როგორცაა:

- პროფესიულ სტუდენტთა აკადემიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ განვითარება;
- პროფესიულ სტუდენტებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სამოქალაქო აქტივობებში;
- პროფესიულ სტუდენტებში ორგანიზაციული უნარების ჩამოყალიბება;
- პროფესიულ სტუდენტების თვითრეალიზაცია;
- პროფესიული განათლების და კოლეჯის პოპულარიზაცია.

6. დაწესებულების ბიუჯეტის შედგენისას ხდება სტუდენტური ინიციატივების (მათ შორის, სპორტული/შემოქმედებითი) მხარდაჭერის გათვალისწინება, რომლის ფარგლებში დაწესებულება აფინანსებს საუკეთესო ინიციატივებს.

7. გარდა გათვალისწინებული სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერისა, დაწესებულება საკუთარი ინიციატივითაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა არაფორმალურ აქტივობათა დაგეგმვა-განხორციელებას, რომლის ფარგლებში დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი პროფესიულ სტუდენტებთან

შეხვედრების ფარგლებში გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

#### **მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე მექანიზმებს ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი ბრძანებით.
2. წინამდებარე მექანიზმები უქმდება, მასში ცვლილებები ან/და დამატებები შედის დირექტორის ბრძანებით.
3. წინამდებარე მექანიზმები უნდა განთავსდეს დაწესებულების შენობაში საჯაროდ, თვალსაჩინო ადგილზე.